14 მარტი არც ისე გვიანია, რომ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივს თუნდაც სსრ კავშირის ჩემპიონს, სრულ საბრძოლო ფორმაში ყოფნა მოვთხოვოთ, მაგრამ ეს არც ისე ადრეა, რომ უყურადღებოდ დავტოვოთ ის ხარვეზები და შეცდომები, რომლებიც ჯერ კიდევ აშკარად ეტყობა თბილისის "დინამოს".

ნაკრები გუნდის წამყვანი მოთამაშეების უყოლობა, რა თქმა უნდა, თვალსაჩინო დაღს ასვამს ჩემპიონის თამაშს. მაგრამ ვინაიდან თბილისის "დინამოს" მომავალ საკავშირო შეჯიბრებაში მთელი რიგი კალენდარული მატჩების ჩატარება მოუწევს დაახლოებით ისეთი შემადგენლობით, როგორითაც იგი გუშინწინ იბრძოდა ლენინგრადის "დინამოს" წინააღმდეგ, სრული უფლება გვაქვს მოვთხოვოთ მას კვალიფიციური, ძლიერი თამაში.

თბილისელები კი ჯერ ვერ ტოვებენ სახარბიელო შთაბეჭდილებას. კერძოდ, სერიოზული შეცდომებით ჩაატარა მატჩი ბ. სიჭინავამ, რომელიც მთლიანად დამნაშავეა ჩვენს კარში გატანილ გოლში. ნახევარდაცვაში იამანიძეს ჯერ კიდევ არა ჰყავს სათანადო სიძლიერის პარტნიორი, ხოლო თავდასხმაში აშკარად ვერ მოძებნა თავისი ამპლუა ვეკუამ. მას ადრეც უთამაშია თბილისის "დინამოს" ძირითად შემადგენლობაში და საკმაოდ დამაკმაყოფილებლადაც. ახლა კი იგი ახალბედა ფეხბურთელს ჰგავს, რომელიც სულ იოლად იბნევა რთულ სიტუაციებში. საერთოდ, შესამჩნევი იყო, რომ ზოგიერთი დინამოელი გარკვეული ინდიფერენტულობით, "ნახევარი დატვირთვით" მონაწილეობდა აღნიშნულ საკონტროლო მატჩში.

ანგარიში გაიხსნა 26–ე წუთზე. ცხოვრებოვმა მარცხენა ფლანგიდან დაჰკიდა ბურთი საჯარიმო მოედანზე, ბარქაიამ ზუსტად გააგრძელა კომბინაცია მარჯვნივ და დათუნაშვილმა ძლიერი დარტყმით გაიტანა გოლი – 1:0.

39–ე წუთზე იამანიძის გარღვევა მეორე ბურთით დამთავრდა ლენინგრადელთა კარში – 2:0.

44–ე წუთზე ლენინგრადელმა თავდამსხმელმა ნოსულმა შეძლო ერთი საპასუხო გოლის გატანა და მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით – 2:1.

ამავე გუნდეიბს დუბლიორებმა ითამაშეს ფრედ – 0:0.

რ. ქორიძე.
16 მარტი, 1965 წ.